



სავალუტო გარიგების მომსახურების წესები და პირობები Terms and conditions of FX Dealing

ნიმუში/Template

წინამდებარე წესები და პირობები წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს. მასში მოცემულ კონკრეტულ ციფრებს აქვს საორიენტაციო ხასიათი და თითოეული ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია საკუთარ კონკრეტულ დოკუმენტში (წესები და პირობები) განსაზღვროს მისთვის მისაღები პირობები, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეროვნული ბანკის რეგულაციებს და მოქმედ კანონმდებლობას.

დოკუმენტის მიზანია დეტალურად აღწეროს სავალუტო ბაზარზე კლიენტსა და ბაზრის მონაწილეს შორის ვაჭრობის ძირითადი ასპექტები.

ბაზრის მონაწილე ხელმძღვანელობს სავალუტო ბაზარზე საქმიანობის წესით და FX გლობალური კოდექსით ("FX კოდი"). ეროვნული ბანკის წესი სავალდებულოა ბაზრის იმ მონაწილეთათვის, რომლებიც ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმაზე ვაჭრობენ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. მათ შორის კლიენტის დავალებით Bmtch პლატფორმაზე განაცხადების დადების შემთხვევაში. მართალია FX კოდექსი არ არის იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე ინსტრუმენტი, მაგრამ წარმოადგენს მისაღები ქცევის სტანდარტების ერთობლიობას, რომელიც ხელს უწყობს, ეფექტური, სამართლიანი, ღია და სათანადო გამჭვირვალე ბაზრის განვითარებას. ბაზრის მონაწილეები მოქმედებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მხარს უჭერენ ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკებს, მათ შორის FX კოდექსში მოცემულ მეთოდებს.

დოკუმენტი არ წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტს და მასში აღწერილია ბაზრის მონაწილესა და კლიენტს შორის სავალუტო ბაზარზე არსებული ძირითადი სავაჭრო ასპექტები.

ბაზრის მონაწილის როლი მომხმარებლებთან მიმართებაში:

ბაზრის მონაწილე მომხმარებლებთან მიმართებაში შეიძლება მოქმედებდეს როგორც პრინციპალი მოვაჭრის ან აგენტი მოვაჭრის სტატუსით.



გარიგების დადების დროს, ბაზრის მონაწილე არ მოქმედებს როგორც კლიენტის ფიდუციარი ან მრჩეველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი სახის ურთიერთობა წინასწარ არის შეთანხმებული წერილობით. ნებისმიერი დადებული გარიგება, ხორციელდება იმ დაშვებით, რომ კლიენტს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად და მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ცოდნის, გამოცდილების და მესამე მხარეთა პროფესიონალური რჩევების საფუძველზე.

კლიენტთან კომუნიკაცია:

ბაზრის მონაწილესა და კლიენტს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია მოხდეს მხარეთა მიერ შეთანხმებული საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

ბაზრის მონაწილე კლიენტს შესაძლებლობას აძლევს დადოს სავალუტო გარიგებები / დავალებები მასთან შეთანხმებული საკომუნიკაციო არხების საშუალებით (ელ.ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის გაგზავნის სხვა ფორმით. მაგალითად, Bloomberg ჩეთი(კომუნიკატორი), მყისიერი შეტყობინებები და ა.შ.)

ბაზრის მონაწილე კლიენტთან კომუნიკაციას აწარმოებს ზუსტად, ნათლად, პროფესიონალურად და ისე, რომ მიზანმიმართულად შეცდომაში არ შეიყვანოს კლიენტი.

ბაზრის მონაწილეს კლიენტთან კომუნიკაციისას შეუძლია გააცნოს მას ბაზრის ზოგადი ტენდენციები, მიაწოდოს სავალუტო ბაზარზე არსებული ზოგადი ინფორმაცია, კონფიდენციალურობის დაცვით, რაც არ იძლევა კონკრეტული სუბიექტის ან კონკრეტული გარიგების იდენტიფიცირების საშუალებას.

კლიენტისგან ვალუტის გაცვლის დავალების მიღების შემთხვევაში, ბაზრის მონაწილეს შეუძლია კლიენტს, აღნიშნული დავალების შესრულებამდე აცნობოს, მის მიერ განხორციელებული წინასწარი კვლევების ან ქმედებების (მათ შორის წინარე ჰეჯირება) შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კლიენტის დავალების შესრულების პირობებზე.

ბაზრის მონაწილე კლიენტთან კომუნიკაციისას ვალდებულია მას მიაწოდოს ინფორმაცია წინარე ჰეჯირებისა და მასთან ასოცირებული რისკების შესახებ, აგრეთვე იმ მატერიალური სარგებლის შესახებ, რომელიც შესაძლებელია კლიენტმა ამ ქმედებით მიიღოს. წინარე ჰეჯირებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს იმ ფასზე, რომელიც ბაზრის მონაწილეს შეუძლია რომ შესთავაზოს კლიენტს ტრანზაქციისთვის დავალების შესასრულებლად არსებულ ლიკვიდობის გათვალისწინებით, რამაც შეიძლება ბაზრის მონაწილეს ან დამატებითი შემოსავალი მოუტანოს ან აზარალოს.



კლიენტის მიერ ბაზრის მონაწილესთან სავალუტო გარიგებების დადება არ ზღუდავს კლიენტს იგივე მომსახურება მიიღოს ბაზრის სხვა მონაწილისგან არც გარიგების დადების მომენტში და არც მის შემდეგ.

აგენტის როლში კლიენტთან ურთიერთობისას, დავალების მიცემის (order) ან გარიგების პირობების შეთავაზების (request for quote) მოთხოვნის გაგზავნის მომენტსა და იმ პერიოდს შორის, როდესაც მიღება დადასტურდება ბაზრის მონაწილის მიერ, კლიენტი არის იმ რისკის წინაშე, რომ მისი შეკვეთის ან ვაჭრობის მოთხოვნა შესაძლოა მთლიანად არ შეივსოს (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ ბაზარზე ცვლილება მოხდა კლიენტის სასარგებლოდ), ან შეიძლება შევსებული იყოს ნაკლებად ხელსაყრელ დონეზე, რადგან დროის ამ შუალედში შეიცვალა ბაზარზე არსებული მდგომარეობა.

კლიენტს შეუძლია ა) ბაზრის მონაწილესთან გარიგება დადოს როგორც კონტრაქტმა, მოითხოვოს ფასები და შეათანხმოს სასურველი პირობები ან ბ) მისცეს ბაზრის მონაწილეს დავალება მისი გარიგება დადოს ბაზარზე (მათ შორის Bmatch პლატფორმაზე). პირველ შემთხვევაში ბაზრის მონაწილე გამოდის როგორც პრინციპალი მოვაჭრე, ხოლო მეორეში როგორც აგენტი მოვაჭრე.

კლიენტთან ვაჭრობის პირობები (პრინციპალი)

კლიენტს შეუძლია განათავსოს სავაჭრო მოთხოვნა დავალების სახით. ბაზრის მონაწილე არ არის ვალდებული მიიღოს ან იმოქმედოს მომხმარებლის მოთხოვნის საფუძველზე.

ელექტრონული ვაჭრობა

მომხმარებელთა დავალების მიღება ხორციელდება ბაზრის მონაწილესა და კლიენტს შორის შეთანხმებული ელექტრონული საშუალების მეშვეობით. როდესაც კლიენტი ბანკს გადასცემს სავაჭრო დავალებას Bloomberg- ის ელექტრონულ პლატფორმაზე გარიგების დასადებად, ბაზრის მონაწილემ უნდა დაიცვას კლიენტთან შეთანხმებული პროცედურები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის წესებს და პლატფორმის ფუნქციონირებას.

ე.წ. "last-look" მეთოდი

ბაზრის მონაწილეს კლიენტთან ურთიერთობისას შეუძლია გამოიყენოს ე.წ. „last-look“ მეთოდი. იმ შემთხვევაში თუ ბაზრის მონაწილე გადაწყვეტს ამ მეთოდის გამოყენებას,



ის ვალდებულია საკუთარ წესებსა და პირობებში განუმარტოს კლიენტს აღნიშნული მეთოდის დეტალები და შინაარსი.

ბაზრის მონაწილე ვალდებულია წინარე ჰეჯირების შესახებ შეატყობინოს კლიენტს. ბაზრის მონაწილემ კლიენტს უნდა აუხსნას ყველა ის რისკი, რომელიც ამ ქმედებასთან არის დაკავშირებული. წინარე ჰეჯირება უნდა განხორციელდეს იმ განზრახვით, რომ არ გაუარესდეს კლიენტის მდგომარეობა. წინარე ჰეჯირებისას მიღებული ნებისმიერი მატერიალური სარგებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს. წინარე-ჰეჯირებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს იმ ფასზე რომელიც ბაზრის მონაწილეს შეუძლია რომ შესთავაზოს კლიენტს გარიგებისთვის, დავალების შესასრულებლად არსებულ ლიკვიდობაზე, რამაც შეიძლება ბაზრის მონაწილეს ან დამატებითი შემოსავალი მოუტანოს ან აზარალოს.

შეძლებისდაგვარად, მიღებული დავალებები აღსრულდება მითითებულ პარამეტრებში, სამართლიანად და გონივრულად, ბაზარზე მოქმედი გარემოებებიდან გამომდინარე. ან სხვაგვარად, ბაზრის მონაწილის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება სავალუტო დავალების მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებაზე. ასეთი გადაწყვეტილებები, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება ეცნობებათ კლიენტებს.

თუ რამდენიმე იდენტური დავალებაა განთავსებული იმავე პროდუქტზე ან იმავე ვალუტის წყვილზე, მაშინ კლიენტის პრიორიტეტიზირება ხდება შეკვეთის განთავსების დროიდან გამომდინარე (first come first served- პრინციპით).

კლიენტის დავალებით ვაჭრობის პირობები (BMatch პლატფორმაზე განაცხადების დადება)

ბლუმბერგის სავალუტო სავაჭრო პლატფორმა BMatch-ი არის სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გამჭვირვალობას და ლიკვიდობას სავალუტო ბაზრებზე. სისტემა ბაზრის მონაწილეებს ეხმარება, როგორც საბაზრო ფასების დადგენაში, ასევე ვაჭრობის განხორციელებაში, ხოლო გარიგების ყველა დეტალი ელექტრონულად ხორციელდება და დასტურდება.



დავალების მიცემისას კლიენტმა მკაფიოდ უნდა მიუთითოს, რომ სურს მისი დავალბა Bmatch-ზე მოხდეს. ამასთან, მიუთითოს თანხა და სასურველი კურსი ან იმ მომენტში პლატფორმაზე არსებული საუკეთესო კურსი. ბაზრის მონაწილე განაცხადის პირობებს არ ცვლის კლიენტისგან განახლებული ინსტრუქციების მიღებამდე. Bmatch-ზე გარიგების დადების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს [--წუთისა] ამის შესახებ ატყობინებს კლიენტს.

BMatch-ზე ვაჭრობის წესები ბლუმბერგის ერთიან სისტემაში მოქმედი სტანდარტული ვაჭრობის წესებისგან განსხვავებულია. Bmatch სისტემა უზრუნველყოფს შემხვედრი გარიგებების ავტომატურ დაწყვილებას (მეჩინგს) და აღსრულებას. გარიგების დადებამდე განაცხადის ავტორის ვინაობა ანონიმურია, ერთიან სისტემაში შეთავაზებებისას მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთს ვერ ხედავს, რაც კონფიდენციალობასა და მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს.

იმ შემთხვევაში თუ მყიდველის შეთავაზებული ფასი გამყიდველის განაცხადს დაემთხვევა მოხდება გარიგების დადება. თუ რამდენიმე კლიენტის მიერ შემოთავაზებული ფასი იდენტურია, ამ შემთხვევაში მეჩინგი მოხდება დროის პარამეტრით (ავტომატურად დადება ის გარიგება რომლის განაცხადიც უფრო ადრე იყო დადებული). სისტემაში კონტრაქტის რისკების მართვა მონაწილეების მიერ განსაზღვრული ლიმიტების საშუალებით, ხოლო დადებული გარიგებების აღსრულება, ეროვნული ბანკის წესების შესაბამისად ხდება.

BMatch პლატფორმაზე დადებული გარიგებები საბოლოოა და ექვემდებარება სავალდებულო აღსრულებას. კლიენტის მიერ ბაზრის მონაწილესთან გარიგების დადების შემდეგ შესაძლებელია ბაზარზე მოხდეს კურსის ცვლილება, თუმცა ეს არ შეიძლება გახდეს გარიგების გაუქმების საფუძველი. გამონაკლის შემთხვევებში გარიგების პირობების ცვლილება ან გარიგების გაუქმება შესაძლებელია გარიგების ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია განსაღვროს შესაძლო ზარალის ანაზღაურების საკითხები.

ბაზრის მონაწილის მარჟა (აგენტი მოვაჭრე)

ბაზრის მონაწილეს შეუძლია კლიენტთან FX Spot – ისა და FX Forward - ული გარიგებების დადებისას, მას დაუწესოს მარჟის ლიმიტები სავაჭრო მოცულობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, ინსტრუმენტებს შორის მოცულობის დაჯამება არ ხდება, თითოეული ტიპის ინსტრუმენტის მოცულობა გამოითვლება ცალკე ამ ინსტრუმენტით დადებული გარიგების გამოყენებით.



კლიენტს სავაჭრო მოცულობის საფუძველზე ენიჭება შესაბამისი კატეგორია. კვარტალურად ხდება კლიენტთა კატეგორიების გადაფასება, რა დროსაც წყდება კლიენტი დარჩება არსებულ კატეგორიაში, თუ სხვაში გადაინაცვლებს.

ვაჭრობის მოცულობა, რომელიც გამოიყენება კლიენტის მოქმედი კატეგორიისა და მასთან დაკავშირებული მარჟის დასადგენად, ემყარება იმ პირდაპირ გარიგებებს, რომლებიც მათ მიერ არის დადებული ბაზრის მონაწილესთან (როგორც ვერბალური, ისევე ელექტრონული ფორმით) წინა 12 თვის განმავლობაში, დაჯამებული მოცულობის ლარში კონვერტაციით. კლიენტისათვის საწყისი კატეგორიის მინიჭების მიზნით გამოყენებული იქნება გასული 12 თვის განმავლობაში კლიენტთან ვაჭრობის არსებული მონაცემები.

FX სპოტ მარჟა

კატეგორია	ვაჭრობის მოცულობა (მლნ. ლარი)	მარჟა (bps)
1	ნაკლებია 10-ზე	0 – 100
2	10 - <25	0 – 75
3	25 - 100	0 – 50
4	მეტია 100-ზე	0 – 25

FX ფორვარდ მარჟა

კატეგორია	ვაჭრობის მოცულობა (მლნ. ლარი)	მარჟა (bps)
1	ნაკლებია 10-ზე	0 – 100
2	10 - <25	0 – 75
3	25 - 100	0 – 50
4	მეტია 100-ზე	0 – 25

Bmatch პლატფორმაზე ვაჭრობისათვის კლიენტი ვალდებულია მარჟის სახით ბანკში განათავსოს სასურველი ვაჭრობის მოცულობის [2%], სპეციალურ ანგარიშზე. მარჟის გამოყენება ბაზრის მონაწილის მიერ მოხდება კლიენტის დამატებითი ნებართვის გარეშე იმ შემთხვევაში, თუკი კლიენტი დროულად არ მოახდენს დადებული გარიგების ანგარიშსწორებისთვის საჭირო თანხის მობილიზებას ანგარიშსწორების დღის [--] საათამდე.



კლიენტისთვის ფასის დადგენა

როგორც პრინციპალმა მოვაჭრემ, ფასდადებისას ბაზრის მონაწილემ შეიძლება გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორცაა არსებულ ბაზარზე ტრანზაქციის ტიპის ლიკვიდობა, გარიგების ზომა ან / და სირთულე, საკრედიტო ხარჯები, ბალანსის უწყისი და კაპიტალი, რისკის ლიმიტი, ვაჭრობის საპროცესო ხარჯები, გაყიდვების მცდელობები და სხვა რელევანტური საკითხები. ვინაიდან ეს ფაქტორები შეიძლება განსხვავდებოდეს, ბაზრის მონაწილემ შეიძლება შესთავაზოს განსხვავებული ფასები სხვადასხვა მომხმარებელს იმავე ან მსგავსი FX სპოტ და FX ფორვარდული გარიგების დროს.

ბაზრის მონაწილის მიერ დაწესებული საფასური შეიძლება დაეფუძნოს (ან შეიცავდეს) მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით წინასწარ განსაზღვრულ ფასების დონეს: ლიკვიდურობა, მოცულობა, ვადიანობა, ვალუტის წყვილს ან სხვა შესაბამის ფაქტორებს, თითოეულ შესაბამის საფეხურს აქვს შესაბამისი ფასი.

Bmatch პლატფორმაზე დავალების მიცემის ფასი არის ერთიანი განურჩევლად კლიენტისა, ფიქსირებული და შეადგენს [--] ლარს.

სავალუტო გარიგების აღსრულება

ბაზრის მონაწილე, კლიენტთან დავალების დადებისას, მოქმედებს სამართლიანად, გამჭვირვალედ, რაც მათ შორის მოიცავს სავალუტო გარიგების დადების დროულ/სწრაფ უზრუნველყოფას, დადასტურებასა და ანგარიშსწორებას, კლიენტის კონკრეტული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით.

Bmatch პლატფორმაზე კლიენტის დავალების მიღებისას ბაზრის მონაწილეს შეუძლია ჩამოჭრას გასაყიდი თანხა კლიენტის ანგარიშიდან და / ან გამოიყენოს მარჯების ან თანხის დაჯავშნის მეთოდი.

თუ კლიენტის დავალება გაუქმდა სრულად ან ნაწილობრივ, გაუქმებული ნაწილის შესაბამის თანხას ბაზრის მონაწილე დააბრუნებს კლიენტის ანგარიშზე არაუგვიანეს:

ა) განაცხადის გაუქმების დღეს, თუ გაუქმება მოხდა სამუშაო საათებში.

ბ) განაცხადის გაუქმების დღის მომდევნო სამუშაო დღეს, თუ გაუქმება მოხდა სამუშაო საათების შემდეგ, ბლუმბერგის სავაჭრო Bmatch პლატფორმაზე სპოტ გარიგებების ანგარიშსწორება ხდება T+1 პრინციპით, ხოლო ანგარიშსწორების ტარიფი არის



კონკრეტული ბაზრის მონაწილის მიერ განსაზღვრული სტანდარტული ანგარიშსწორების ტარიფი. ბანკი კლიენტთან ანგარიშსწორებას ახორციელებს იმავე ვადებში, როგორც ეს პლატფორმაზეა დადგენილი (T+1).

თუ კლიენტის დავალება Bmatch პლატფორმაზე შესრულდა სხვა ბაზრის მონაწილესთან, დავალების მიმღები ბაზრის მონაწილეს შეუძლია კლიენტს ნაყიდი თანხა ჩაურიცხოს დავალების შემსრულებელი ბაზრის მონაწილისგან შესაბამისი თანხის მიღების შემდეგ.

რაც შეეხება ფორვარდულ გარიგებებს, ანგარიშსწორება ხდება შესაბამის გარიგებით გათვალისწინებულ დღეს.

დავები

აღნიშნული პირობების დარღვევის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს შესაბამის სამსახურს [რეკვიზიტები] ან ეროვნულ ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ფინანსური განათლების დეპარტამენტს [რეკვიზიტები]

სახელმძღვანელო დოკუმენტები

მოცემული დოკუმენტი არ ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ რაიმე სახის კანონს ან მარეგულირებელ წესს.

ბაზრის მონაწილეები FX მარკეტზე ოპერირებისას ხელმძღვანელობენ:

ეროვნული ბანკის რეგულაცია სავალუტო ბაზარზე საქმიანობის წესი
[<https://matsne.gov.ge/document/view/4931766?publication=0>]

FX გლობალური კოდექსი [https://www.globalfx.org/docs/fx_global.pdf]